საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება №37

2022 წლის 8 თებერვალი

ქ. თბილისი

„რეგისტრირებული კოოპერატივის საკრედიტო კავშირის „საწმისი“ ლიცენზიის გაუქმების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2017 წლის 30 იანვრის №115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 28 იანვრის №13/04 ბრძანების საფუძველზე:

1. „რეგისტრირებული კოოპერატივის საკრედიტო კავშირის „საწმისი“ ლიცენზიის გაუქმების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2017 წლის 30 იანვრის №115 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და აღნიშნული განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რკ საკრედიტო კავშირის „საწმისი“ ლიკვიდატორად დაინიშნოს ნუგზარი მურუსიძე (პირადი ნომერი 60002004766).“ю

2. „რეგისტრირებული კოოპერატივის საკრედიტო კავშირის „საწმისი“ ლიცენზიის გაუქმების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2017 წლის 30 იანვრის №115 განკარგულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №64) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ვიცე-პრეზიდენტი **პაპუნა ლეჟავა**